ოქმი N17

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის რიგგარეშე სხდომისა

ქ. ხობი 2018 წლის 20 დეკემბერი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 26 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერ ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის
უფროსი)

2. „აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სამეგრელო-ზემო სვანეთის ტურიზმის მართვის ცენტრი“ ერთობილვად დაფუძნების თაობაზე გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N43 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ნ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ
საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი)

3. „აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია“ ერთობილვად დაფუძნების თაობაზე გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ნ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ
საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის
უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - მოიწონა ხობის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტები და განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა მომავლისთვის გაეთვალისწინებინათ ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ ტბასთან (პაპანწყვილი) მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, რადგანაც, ტურიზმის განვითარებას უფრო შეუწყობდა ხელს.

ზ. ბუკია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ როგორც კი შესაძლებლობა იქნება, ყველანაირად ეცდებიან შიდა გზების მოწყობის დროს გათვალისწინებულ იქნეს ეს საკითხი.

კ. გოქაძე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ პირველი ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში თითქმის არცერთი პროექტი არ განხორციელებულა, რაც მოსახლეობის სამართლიან გულიწყრომას იწვევს და თუ შესაძლებელი იქნება გათვალისწინებულ იქნეს ადგილობრივი პროგრამების განხორციელების დროს.

გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის მერი - მისი განცხადებით, მისთვის ცნობილია, რომ 2019 წლიდან მთავრობა აპირებს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ამუშავებას და ყველა სოფელს გამოეყოფა გარკვეული თანხა და მოსახლეობა თვითონ გადაწყვეტს თუ რა პროექტი განხორციალდეს მათთვის გამოყოფილი თანხის ფარგლებში.

ე. ჯობავა - ისაუბრა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2019 წელს ხობის მუნიციპალიტეტისთვის დაფინანსების მისაღებად წარსადგენ საპროექტო წინადადებებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საკრებულო ყოველთვის ჩართულია პროცესებში და მუნიციპალიტეტის მერს მხარში უდგას განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებით. გამომდინარე აქედან, ბიუროს სხდომაზეც გამოითქვა გულისწყრომა იმის თაობაზე, რომ საკრებულოს წევრები მარტო პროექტების მოწონებაში კი არ უნდა იღებდნენ მონაწილეობას, არამედ ადმინისტრაციულ ერთეულებში, როდესაც ამა თუ იმ პროექტის მშენებლობა დასრულდება, მის ექსპლოატაციაში მიღებაშიც მონაწილეობა მიიღონ შესაბამისი კომისიის თავმჯდომარეებმა და მაჟორიტარმა საკრებულოს წევრებმა უპრიანი იქნებოდა. საკრებულოდან შესაბამისი კომისიის თავმჯდომარე და იმ სოფლის საკრებულოს გამომსვლელის განცხადებით მერიის მხრიდან მეტი კომუნიკაცია და ინფორმირებულობაა საჭირო.

გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის მერი - დაეთანხმა გამომსვლელს და განმარტა, რომ ხანდახან სპონტანურად ხდება ობიექტებზე გასვლა და ერთად ვერ იკრიბებიან. მათ საკრებულოსთან კომუნიკაცია არ უჭირთ და ეს შენიშვნა მომავალში გათვალისწინებული იქნება.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მუნიციპალიტეტში მომავალშიც გაგრძელდება სხვადასხვა პროექტების განხორციელება, მოეწყობა საგზაო ინფრასტრუქტურა, გაგრძელდება ქალაქში პარკის მშენებლობა და ასევე დაგეგმილია კარტადრომის მოწყობა,

რაც სპორტული ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს. მცირეოდენი განმარტების შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

3. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადდა წინადადებები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019 წლისთვის განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, რაც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფისათვის უნდა წარედგინოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. საქართველოს მთავრობის ზემოთ აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, ამ დადგენილებით განსაზღვრული პროექტების ინიცირება იწყება წინადადების მოწონების თაობაზე საკრებულოს გადაწყვეტილებით, რისთვისაც ამ ეტაპზე მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ". გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ განხილულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მის დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულების N44 ოქმს თან ერთვის)

2. „აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სამეგრელო-ზემო სვანეთის ტურიზმის მართვის ცენტრი"

ერთობილვად დაფუძნების თაობაზე გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N43 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ნ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ
საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი)

მოისმინეს: ნ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სამეგრელო-ზემო სვანეთის ტურიზმის მართვის ცენტრი“ ერთობილვად დაფუძნების თაობაზე გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N43 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით „აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია“ ერთობლივად დაფუძნების თაობაზე გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მომზადებისა და საკრებულოში განსახილველად წარდგენის გამო ძალადაკარგულად ცხადდება „აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სამეგრელო-ზემო სვანეთის ტურიზმის მართვის ცენტრი“ ერთობლივად დაფუძნების თაობაზე გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე ხობის

მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N43 განკარგულება. გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ განხილულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი და მიზანშეწონილად მიაჩნია მისი დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ლატარია, კ. გოქაძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულების N45 ოქმს თან ერთვის)

3. „აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია“ ერთობილვად დაფუძნების თაობაზე გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ნ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ
საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი)

მოისმინეს: ნ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია“ ერთობილვად დაფუძნების თაობაზე გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

3. **ქანთარია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 21-ე და 106[1] მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტებს შორის 2018 წლის 11 დეკემბერს ქ. ზუგდიდში გაფორმდა შეთანხმება ერთობლივი საქმიანობის განხორციელების მიზნით აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია" ერთობლივად დაფუძნების თაობაზე. ამავე კანონის შესაბამისად, ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით მუნიციპალიტეტს უფლება აქვს, სხვა მუნიციპალიტეტებთან დადოს ხელშეკრულება საბიუჯეტო სახსრების გაერთიანების თაობაზე. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის ,,დ.ბ" ქვეპუნქტის და 106[1] მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მერი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების თაობაზე. ამ კანონის 106[1] მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლის უფლებამოსილებებს ახორციელებს შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო და ამტკიცებს შესაბამისი იურიდიული პირის წესდებას. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 106[1] მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულო მერს აძლევს თანხმობას გადაწყვეტილების მიღების მიზანშეწონილობაზე, რაც არ გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სარეგისტრაციო განაცხადის და მასზე თანდართული დოკუმენტების მოწონებას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მერიის მიერ ერთობლივი საქმიანობის განხორციელების მიზნით, მომზადდა განკარგულების პროექტი აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია" ერთობლივად დაფუძნების თაობაზე გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე". გამომსვლელის განცხადებით კომისიის მიერ განხილულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი და მიზანშეწონილად მიაჩნია მის დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ლატარია, კ. გოქაძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულების N46 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2018 წლის 20 დეკემბრის რიგგარეშე სხდომაზე დამსწრე

საკრებულოს წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. ვლადიმერ ქანთარია
4. დავით ბერაია
5. დოდო გაბუნია
6. თეა გელანტია
7. ბექა მამაცაშვილი
8. მერაბ ფილიპია
9. კახა ლატარია
10. თენგიზ აბაკელია
11. შადიმან ჭილაია
12. ფრიდონ შონია
13. დავით ცინაძე
14. კონსტანტინე ნასარაია
15. ირაკლი ნადარაია
16. ლაშა ცატავა
17. აბელი ქირია
18. გენადი ქამანაია
19. კახა მიქაბერიძე
20. რამინ ხილაძე
21. ავთანდილ ხუნჯუა
22. გია წულაია
23. გოჩა ჯობავა
24. აკაკი ხურცლავა
25. ნიკოლოზ ვეკუა
26. კობა გოქაძე